ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302623632**
თარიღი: **24/08/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2026 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით კერძოდ:

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 ივლისის N1685 განკარგულებით შეტანილი ცვლილებებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 1500000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარი და მიიმართება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალი გზის მოწყობაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 78950 (სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი, სულ (პროექტის ღირებულებაა 3440405 ლარი) მიმდინარე წელს ასანაზღაურებელია 1578950 (მილიონ ხუთას სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი.

სოციალური სამსახურის მიერ პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის წლის განვლილ პერიოდის ანალიზით (ათვისებულია 171000 ლარი) გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროგრამის სრულად დასაფინანსებლად დამატებით საჭიროა (მიზნობრივი ტრანსფერი) 132000 (ას ოცდათორმეტი ათასი) ლარი, მათშორის შრომის ანაზღაურებაზ მიიმართება 6600 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 ივლისის N37 განკარგულების თანხმობის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 13 აგვისტოს ბ30.30262225001 ბრძანებით დაფუძვნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“. რომლის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი, მაშთშორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 25650 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევ ხარჯებზე 62350 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2000 ლარი.

გაიზარდოს მერიის სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების მუხლი 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციისა და მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსების უზრუნველყოფა განხორციელდეს მერიის შრომის

ანაზღაურების მუხლის დაფინანსების 105000 (ას ხუთი ათასი) ლარით შემცირების ხარჯზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლის 7900 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 7900 ლარით.

აღნიშნული ღონისძიებები აისახოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში.

პატივისცემით,

ეკა გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი